

*დევნილის სტატუსი პოლონეთში*  
**უცხოელთა უფლებები და მოვალეობები**  
**ეს მნიშვნელოვანია**

**დევნილის სტატუსი**

ეს არის იმ ადამიანთა დაცვის ფორმა, რომლებიც ტოვებენ საკუთარ ქვეყნებს რასის, ეროვნების, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების თუ გარკვეულ სოციალურ ჯგუფებისადმი მიკუთვნების გამო დევნის შედეგად.

ყველა უცხოელს პოლონეთში, აქვს უფლება ითხოვოს დევნილის სტატუსის მინიჭება. თუ ამისათვის არ არის შესაბამისი დასაბუთება, განაცხადი იქნება უარყოფილი.

დევნილის სტატუსის მინიჭება ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და ეს ნიშნავს, რომ თითოეული უცხოელის სიტუაცია განიხილება დამოუკიდებლად.

**პროცედურის განმავლობაში**  
**უცხოელს აქვს უფლება:**

- დაინიშნოს წარმომადგენელი
- დაამყაროს კონტაქტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან (UNHCR)
- გააკეთოს განაცხადი, მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე, საქმისწარმოების ყველა ეტაპზე. (მშობლიურ ენაზე-პოლონეთის ხელისუფლება ვალდებულია გადათარგმნოს ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი). ტკიცებულებად შეიძლება იქნეს გამოყენებული ინფორმაცია ინტერნეტიდან, მაგალითად იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ პიროვნებას და მის ნათესავებს, მოვლენები იმ დასახლებულ პუნქტში, საიდანაც ეს კონკრეტული პიროვნება ჩამოვიდა.
- მიიღოს სტატუსის გასაუბრების ჩანაწერის ასლი
- თუ 6 თვის განმავლობაში თუ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის მიერ სტატუსის მინიჭების შესახებ, მაშინ უცხოელს, რომლებსაც აქვთ განაცხადი შეტანილი და მათი მეუღლეები იღებენ მუშაობის უფლებას. მათ შეუძლიათ დაიწყოთ მუშაობა ლეგალურად.

**მოვალეობები**

- ჩააბაროს პასპორტი შესანახად საქმისწარმოების განმავლობაში
- დაელოდოს გადაწყვეტილებას პოლონეთში ( ქვეყნის დატოვების შემთხვევაში პროცედურა შეწყდება)

- გამოცხადდეს გასაუბრებაზე ( თუ ეს შეუძლებელია უცხოელმა უნდა წინასწარ აუხსნას მიზეზები და შეუთანხმდეს გასაუბრების ახალ თარიღზე)
- შეატყობინოს უცხოელთა ოფისს ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ.  
(უცხოელთა სამმართველოს უნდა ქონდეს ინფორმაცია იმის შესახებ თუ სად იღებს კორესპოდენციას კონკრეტული პიროვნება)

### **ეს მნიშვნელოვანია**

ადმინისტრაციული წარმოება დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ მთავრდება საბჭოს გადაწყვეტილების მიღებით. უცხოელს ეძლევა უფლება, მიმართოს სხვა სამართლებრივ ზომებს, თუმცა ამ დროს იგი უკვე კარგავს სოციალურ პრივილეგიებს, რომელიც ეკუთვნის დევნილის სტატუსის მაძიებელ პირებს, ანუ აღარ აქვს უფლება იცხოვროს დევნილთათვის განკუთვნილ ცენტრში და მიიღოს ყველა ის დახმარება რაც გათვალისწინებულია ამ ცენტრში მაცხოვრებელთათვის.

სასამართლოსადმი მიმართვა თავისთავად არ აძლევს უცხოელს პოლონეთის ტერიტორიაზე ლეგალური ყოფნის უფლებას. სასამართლოს ან დევნილთა საბჭოს შეუძლია შეაჩეროს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ პოლონეთის დატოვების შესახებ-საკუთარი ინიციატივით ან უცხოელის განცხადების საფუძველზე. როგორც წესი პოლიციისთვის ესეთი დოკუმენტი არის პიროვნების მიერ დევნილის სტატუსის მოლოდინის დამადასტურებელი. თუმცა პოლონეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ეს დოკუმენტი არ განიხილება, როგორც პოლონეთის ტერიტორიაზე ლეგალური ყოფნის საფუძველი.

**ვინ ვინ არის- დაწესებულებები, რომლებიც მონაწილეობენ დევნილის სტატუსის მინიჭების პროცესში**

### **სასაზღვრო პოლიცია**

იღებს განაცხადს, ასევე აკეთებს თითის ანაბეჭდებს (14 წელს ზევით ყველა მოქალაქისგან). ასევე აკეთებენ ფოტოებს იმ ადამიანების, ვისაც შეაქვთ განაცხადი პოლონეთში დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

### **უცხოელთა სამმართველო**

განიხილავს განაცხადებს დევნილთა სტატუსის შესახებ, ატარებს ეგრეთწოდებულს „სტატუსის ინტერვიუებს“, ამის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას, საჭიროებს თუ არა კონკრეტული პირი საერთაშორისო დაცვას. გარდა ამისა, უცხოელთა ოფისი დაკავებულია დევნილთა იმ ცენტრების მართვის საკითხით, სადაც უცხოელები ელოდებიან გადაწყვეტილებას მათთვის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

### **დევნილთა საკითხების საბჭო**

არის მეორე ინსტანცია, დევნილის სტატუსის მინიჭების პროცესში. უცხოელი რომელიც არის უკმაყოფილო უცხოელთა სამმართველოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება დევნილთა საკითხების საბჭოში, რომელიც ხელახლა განიხილავს მის საკითხს. საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დევნილის სტატუსის ან დაცვის სხვა ფორმების მინიჭების შესახებ, დატოვოს სამმართველოს გადაწყვეტილება ცვლილებების გარეშე, ან დაავალოს სამმართველოს ხელახლა განიხილოს კონკრეტული საქმე.

## **ვოევუდის ადმინისტრაციული სასამართლო**

უცხოელს, რომელსაც არ აკმაყოფილებს საბჭოს გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ვოევუდის სასამართლოში. მაგრამ ამ დროის განმავლობაში მას არ შეუძლია მიიღოს სოციალური შეღავათები სახემწიფოსგან. მაგალითად აღარ აქვს უფლება იცხოვროს დეენილთა თავშესაფარში. სასამართლო აანალიზებს რამდენად სამართლიანად მიიღოდა განხილვის პროცესი.

## **უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო**

ეს არის უმაღლესი სასამართლო ინსტანცია. თუ უცხოელი უკმაყოფილოა ვოევუდის ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას აქვს უფლება გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში. ზემოთხსენებული სასამართლო ამოწმებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მართებულობას და შეიძლება ძალაში დატოვოს მისი გადაწყვეტილება ან შეაჩეროს იგი, ასეთ შემთხვევაში ვოევუდის ადმინისტრაციული სასამართლო ვალდებულია გადახედოს ამ კონკრეტულ საქმეს უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს რეკომენდაციის შესაბამისად. სარჩელი უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოსთვის უნდა იქნას შედგენილი ადვოკატის ან იურისტკონსულტანტის მიერ. სარჩელის განხილვის პროცესში უცხოელს არ აქვს უფლება მიიღონ სოციალური დახმარება. (მაგალითად იცხოვროს უცხოელთათვის განკუთვნილ ცენტრებში)

## **უფლება დეენილების, რომელსაც მიენიჭება დაცვა**

### **(დეენილის სტატუსი ან სხვა დაცვა)**

- აქვს შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა შრომის ბაზარზე
- აწარმოოს მეურნეობა ისეთივე საწყისებზე, როგორც პოლონეთის მოქალაქეები
- განათლების ხელმისაწვდომობა, ისევე როგორც პოლონეთის მოქალაქეებს(მათ შორის უმაღლესი განათლება).
- მიიღონ სოციალური დახმარება ისევე როგორც პოლონეთის მოქალაქეებმა
- დარეგისტრირდეს როგორც უმუშევარი და ამ საფუძველზე მიიღოს სამედიცინო დაზღვევა, როგორც პოლონეთის მოქალაქეებმა.
- მიიღოს ახალი დოკუმენტები: დეენილები იღებენ სამოგზაურო დოკუმენტს, გათვალისწინებულს ჟენევის კონვენციის მიერ, დამატებითი დაცვის მქონე პირები კი-პოლონეთის სამოგზაურო დოკუმენტს უცხოელთათვის.
- მიიღონ სოციალური დახმარება იმავე პირობებით, როგორც საქმის განხილვის პროცესში. დახმარება გრძელდება დაცვის მინიჭებიდან 2 თვის მანძილზე.
- მიიღოს საინტეგრაციო დახმარება, პოლონეთის ტერიტორიაზე დაცვის მინიჭებიდან ერთი წლის მანძილზე. ასეთი დახმარების პირობაა, რომ პიროვნება არ უნდა ცხოვრობდეს უცხოელთათვის განკუთვნილ ცენტრში. უცხოელი რომელსაც მიენიჭა დაცვა, დაცვის მინიჭებისთანავე უნდა დარეგისტრირდეს ოჯახების დახმარების პოვიატოვი ცენტრში და მოძებნოს საცხოვრებელი უცხოელთათვის ცენტრის გარეთ. ასევე შესაძლებელია დახმარების მიღება ცენტრის გარეთაც 2 თვის განმავლობაში, როდესაც ასეთი დახმარება ეძლევათ ცენტრში, ეს უფლებას აძლევს გადაიხადოს საცხოვრებლისთვის. განაცხადი ოჯახების დახმარების პოვიატოვი ცენტრში შეიძლება გაკეთდეს ყველა აუცილებელი დოკუმენტის არ ქონის

შემთხვევაშიც, მაგალითად გადაწყვეტილებით, მაგრამ არა უფლებით ცხოვრების შესახებ. დაკლებული დოკუმენტები შეიძლება მიწოდებულ იქნას მოგვიანებით. საინტეგრაციო დახმარების შესახებ განაცხადი უნდა გაკეთდეს დაცვის მიღებიდან 60 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდგომ განაცხადი არ იქნება მიღებული.

**ყურადღება! დამატებითი დახმარების განხორციელებაზე უარის თქმა არ შეიძლება**

პოლონეთის ტერიტორიაზე 5 წელი რეგულარული ცხოვრების შემდგომ, დევნილის სტატუსის ან დამატებითი დაცვის საფუძველზე უცხოელს აქვს უფლება მიიღოს პოლონეთში დასახლების უფლება (მუდმივი დასახლების უფლება). აუცილებელ 5 წელში შედის გადაწყვეტილების მოლოდინის პერიოდიც (უცხოელთა ცენტრებში გატარებული პერიოდი).

**შეიმუშავეს: აგატა ფორისი, პელსინკის ადამიანის უფლებათა ფონდი.  
აგნეშკა კოსოვიჩ პოლონეთის მიგრაციის ფორუმი.**

**მომზადებულია „დევნილთა მცირე სოციუმში ინტეგრაციის“ პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია სამოქალაქო ინიციატივების ფონდის მიერ.**